



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბატონიშვილი

ბატონიშვილი, სიუზერენის შვილი ფეოდალურ საქართველოში.

ძირითადად იხმარებოდა უმაღლესი სიუზერენის, მეფის, აგრეთვე მთავრის შვილების აღსანიშნავად. სხვა მებატონეთა შვილები იწოდებოდნენ თავადიშვილებად, აჩნაურიშვილებად, ერისთვისშვილებად და ა. შ. ტერმინ „ბ-ის“ გაჩენამდე და შემდეგ მის პარალელურად იხმარებოდა ტერმინი უფლისწული. ფეოდ. საქართველოში ბ-ს გამოყოფილი ჰქონდა მამული, რ-იც საბატონიშვილოდ, საუფლისწულოდ იწოდებოდა.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ ბ-ების დიდი ნაწილი რუსეთში გაასახლეს, მამულები მისცეს და ჭამაგირიც დაუნიშნეს. ასე მოისპო ქართ. ფეოდ. საზ-ბის უმაღლესი ფენა ბ-ებისა. XIX ს-ში ბ-ად იწოდებოდნენ საერთოდ ფეოდალების შვილები – თავადების და ზოგჯერ აზნაურებისაც კი.

გ. ხანთაძე